

შინაური საქმეები

ბალკანონიერი დი... კავ... კავ...

ბალკანონიერი დი... კავ... კავ...

რედაქცია

უოველკვირეული გაზეთი.

შინაური 1. როგორ მოვიქცეთ? 2. ქეშპარტი გზა—დღი... 3. ბ... ახელს „მოკლე შენიშენის“ პასუხად—რედ. 4. ახელის უსვავი მიკლა შენიშენა—ლოგო... საქმელისა. 5. ყ-დ. სამღვდლო ღონისძევის მოგზაურა კურიაში—№ 6, მეტი ხაზი—კინ... კილეთელისა.—7, ქუთაისის ქალაქის გაძევება ტაძარზე გამოილაშქრ.—8 ნ. ტო ვაბუნია —ცაგარლის პატივსაცემელი პანაშვიდი—ხელისა. კვირიდამ კვირობამდე

უოველკვირეული გაზეთი

„შინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქცი... აში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—ძა... ჯაკოვის შესახვევში № 17) და თფი... ლისში გამომცემელთან სომხის ბა... ზარში, სიმონიანცის შუშის მალა... ზიაში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ... და 50 კ.

ვაჭრთი ღებულაშს დასაბუქდად... ვაჭრთი ღებულაშს დასაბუქდად...

წვრილმანება გულს წიქავს და სასოწარ... კვეთილებაში აგდებს კაცს ხალხის მო... მავალზე) ხალხი, დაბალი ხალხი, ნაძღვი... ლი ქართველი, გაურყენელი, ხელშეუ... ხებილი ხალხი და არა ვადაგვარ-გადარ... ჯულებული, ზნეობა-სარწმუნოება დაკარ... გული ნასწავლობა, რომლის გამობრუნე... ბას ვერავინ შეიძლება, გვებრალების, და გვეწყალების ბრმა და უვიც სამღვდლო... ების ხელში მკლები ბლომად გაერიენ ცხოვაოთა შორის და დღე არ გადის ასი... ორასი ცხვარი არ წარიტაცონ, ასი ორა... სი შვილი არ მოსწყდეს დედის ძუძუს— მართლმადიდებელ ეკლესიას. ხილხი დღი... თი დღე ჰკარგავს გზის მაჩვენებელ ვარ... სკვლავს, სიცოცხლის მიზანს, ძმათ-მო... ყვარეობის მამოძრავებელ და გამაცხოვე... ლებელ გრძნობას, ხალხი ველურდება, ხალხი ივიწყებს მამა-პაპათა ნაანდერძვე ქვირფას თვისებებს და მაგიერათ ითვი... სებს რაღაც ახალმოდის გამრყენელ, გა... მახეცებელ ზნე-ჩვეულებას, საშობლო ჰკარგავს თავის ელფერს.

როგორ მოვიცათ?

ეკლესიას დროის შესაფერი სამღვდე... ლობა ეჭირვება,—ამას გრძნობს დღეს ყველა, ვისაც კი ან ეკლესია და ან სარ... წმუნოება რამეთუ მიაჩნია; ამას გრძნობს, რა თქმა უნდა, შეგნებული სამღვდლო... ბა. სამღვდლოების დაქინება და და...

რა გამოადვილებს, რა შეაბრუნებს, რა ჩაუდგამს მამა-პაპურ მორწმუნე სულს, რა გადუხალისებს გულს და დაუბრუ... ნებს მას ძველ ძმათ-მოყვარეობას, თუ არ შეგნებული, მორწმუნე, მოყვარული,



მკოდნე და მოქმედი სამღვდლოება, სამღვდლოება ეროვნულ ნიადაგზე, ეროვნულ ზნე ჩვეულებაზე, ეროვნულ ენაზე, ეროვნულ ეკლესიის სიყვარულში აღზრდილი და განმტკიცებული სამღვდლოება? უასი წელიწადია, ერთი მრგვალი საუკუნე, რომ ჩვენ ასეთი სამღვდლოება არ გვყოლია. ერთი საუკუნეა სამწყსოს მწყემსის ხმა არ ესმის, სამწყსო მწყემსს ვერ სცნობს და მწყემსი სამწყსოს, ერთი საუკუნეა ხალხს თავისი შექმნილი ეკლესიური კითხვა-გალობა არ გაუგონია; ერთი საუკუნეა მის ჭირში და ლხინში თანამგრძობი მოძღვარი არ უნახავს და არც ელის!... ვის არ დაალონებს, ვის არ დააფიქრებს ასეთი მდგომარეობა, მით უფრო როცა არც მომავალი გილიმდება, როცა მზადდება კი არ არის, როცა მკორეოდენი სურვილის ნიშნებიც არ არის ამ მდგომარეობიდან თავის დახწევისა?

იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდლოების შარშანდელმა კრებებმა ცოტა იმედი გაგვიღვიძეს, როცა თავის მსჯელობის ღირსად გახადეს საკითხი მომავალ სულიერ მამების და მოძღვრების აღზრდისა. ამ ორივე კრებამ თითქმის ერთი და იგივე დადგენილება მიიღო, რომ გახსნილი იქმნეს განსაკუთრებული სამღვდლო კურსები სპეციალური პროგრამით, რომელიც უნდა შეეფერებოდეს ღღევანდელ მდგომარეობას. გურია სამეგრელოს სამღვდლოებამ თავის ქურნალური დადგენილებით პირდაპირ მოითხოვა ასეთი კურსების დაარსების ნებართვა. იმერეთისა, თუმცა აღიარა ასეთი საჭიროება, მაგრამ თლათ ვერ გაბედა და მხოლოდ ის ითხოვა, რომ მთელ საქართველოსთვის შემუშავებულიყო ეს საკითხი რა ბედი ეწია ამ დადგენილებებს, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ვფიქრობთ და დარწმუნებული ვართ, რომ იგინი ან პირველ ინსტანციაში გაიყინენ უკვე და ან მეორე ინსტანციაში იყინებიან ისე, როგორც არა ერთი და ორი ასეთი კეთილი განზრახვა და დაწ-

ყებულება გაიყინა.¹⁾ აქედან ცხადზე უცხადესია, რომ მართებლობის ინიციატივის მოლოდინი ამ საქმეში შორს მოგვივა, თუ ამ მოლოდინმა სულ ცივზე არ დაგვსვა. ამიტომ საჭიროა კერძო ინიციატივა, საჭიროა ვინმე აკადემიაში კურს და მთავრებულმა მღვდელმა ან მონასტრის წინამძღვარმა შექმნას ადგილობრივ მღვდლომთავრების ნებართვით და დახმარებით კერძო სამღვდლო სკოლა, სადაც კურსდამთავრებულ სამღვდლოკანდიდატებს გამოსცდის ადგილობრივ ყოვლად სამღვდლოსაგან დაწესებული კომისისა თვით მღვდელ მთავრის თან დასწრებით.

თქმა არ უნდა, ამ სკოლაში უნდა მიიღებოდნენ უკვე ჰასაკოვანი მამაკაცები, რომლებმაც შეგნებულად და თავისუფლად აირჩიეს სამღვდლო მსახურება.

რაც მალე იქნება გახსნილი ასეთი სასწავლებელი მით უკეთესი, მაგრამ რაც უნდა მალე გაიხსნას, საგრძობელ სამსახურს ასე მალე ვერ გაგვიწვევს, თუ უკვე არსებული სამღვდლოებაც ცოტა არ გამოფხიზლდა ამ წვევრების მხრით მაინც, რომლებსაც სულ არ ჩაუქვრიათ თავის შორის ნიჭი ღვთისა, რომლებსაც უნდათ მუდამ ენთონ ხალხის სიწმიდის საყდარზე, მაგრამ ზეთი აკლიათ, აკლიათ განვითარება, აკლიათ მომზადება. ასეთებისათვის უებარი და შეუდარებელი საშვალეა იქნება მოკლე ვადიანი კურსები, მსგავსად მასწავლებლების პედაგოგიურ კურსებისა. ასეთ კურსებზე სამღვდლოება გაეცნობა თავის მოვალეობას, გაეცნობა თანამედროვე ცრუმოდვართა სწავლას და შეიძენს იარაღს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. ერთმანეთის ნახვა და გაცნობა გრძნობა მიმართულებით ერთი წრის ადამიანთა, როგორც იქნებიან კურსებზე თავის სურვილით ჩამოსული მღვდლები,

¹⁾ეს წერილი უკვე კორექტურიდან გამოსული იყო, როცა გავიგეთ, რომ გურია სამეგრელოს დემუტატთა დადგინლება სამღვდლო კურსების შესახებ ყ-დ სამღვდლო ლეონიდეს თავის აზრის დამატებით წარუდგინა ექსარხოისთვის.

დიდ გავლენას იქონიებს მათზე, გაამხნე-
ვებს მათ და გაუორკეცებს ხალხის თავ-
დადებულ სამსახურის სურვილს, გააცნობს
სახელმძღვანელო წიგნებს და შეაყვარებს
კითხვას, წერას და მოქმედებას. სამღე-
დლოება ადვილად მოაწყობს ამას ყო-
ველ ზაფხულზე რომელიმე მონასტერში.
საჭიროა მხოლოდ ხელმძღვანელნი, რომ-
ლებმაც ადრევე უნდა შეიმუშაონ პროგ-
რამმა კურსებისათვის. ასეთ ხელმძღვანე-
ლებად, რა თქმა უნდა, პირველად თვით
ყ-დ სამღვდლონი იქნებიან. ასეთი კურ-
სები ძვირათ არ დაჯდება და კურსებზე
ჩამოსული სამღვდლოება თითონ იტვირ-
თებს თავს გამოკვებას. ხოლო რაც შე-
ეხება საჭირო წიგნებს და ლექტორებს
(თუ უკანასკნელნი მქეტად არ ემსახურე-
ბიან), ამათ ხარჯს სანთლის ქარხნები და
მდიდარი ეკლესიები იტვირთებენ.



ქეშმარიტი გზა.

გაგრძელება¹⁾

II.

**ეკლესია, როგორც მცველი ქრისტეს ქეშ-
მარიტებისა.**

„სხვაგან არ უნდა ვეძებდეთ
ქეშმარიტებას, რომელიც ადვილად
საპოვნელია ეკლესიაში. მასში, რო-
გორც მდიდარ სალაროში, მოცი-
ქულებმა შეინახეს ყოველივე ის,
რაც ქეშმარიტებას ეკუთვნის; ასე
რომ თვითველ მსურველს შეუძლია
მიიღოს მისგან სასველო ცხოვრებისა.
იგი არის კარი ცხოვრებისა.“ (წმ.
ირინე).

ჩვენ ვსთქვით, რომ სახარება უნდა შეად-
გენდეს ხალხისთვის ცხოვრების სახელმძღვანე-
ლოს. მაგრამ ამისთვის საჭიროა არა მხოლოდ
კოდნა სახარებისა, არამედ ჯეროვნად გაგება
მისი. ზოგიერთი ამბობს, რომ შიტომ არ არის

საჭირო სახარების ასხნა-განმარტება, რადგა-
ნაც იგი უიმისოდაც ნათლად, უბრალოდ და
ყველასათვის გასაგებად არის გადმოცემულიო.
მიუხედავად ამისა, სინამდვილე სულ სხვის
გვეუბნება. ის გარემოება, რომ უთვალავი
სხვა და სხვანაირი სარწმუნოებრივი სექტები
არსებობს, რომელთაგანაც თვითველს უნდა
მოეწყოს სახარების თანხმად, გვაჩვენებს, თუ
როგორ სრულიად სხვადასხვანაირად ესმი
ხალხს ქრისტე მაცხოვრის მოძღვრება, და მა-
შასადავამე, როგორ აუცილებლად საჭიროა
მისთვის ქონება ქრისტეს ქეშმარიტების უც-
თომელი შემნახველის და ამხსნელისა. განსა-
კუთრებით ჩვენს დროში გავრცელებულია
სხვა-და-სხვანაირი შეხედულობა სახარების
სწავლაზე, ასე რომ თანამედროვე, ეგრედ
წოდებულ, ინტელიგენტურ საზოგადოებაზე
შეიძლება ითქვას, რომ რამდენიც კაცია, იმ-
დენი სხვა შეხედულობაა სახარებაზეო. რანაი-
რის დაბრმავებული ახირებით ხალხი სცი-
ლობს ჩააბას წმინდა სახელი უფლისა იესოსი
კაცობრიულ ვნებათა მორევში, უნდა შეუ-
ფარდოს სახარება თავის აზროვნებას, და,
თუნდაც პირმოთნეობით, მითი გაამართლოს
თავისი საკუთარი შეხედულობა ცხოვრებაზე.
ადამიანის გამჭრიახის გონებისთვის ხომ ყო-
ველთვის შესაძლებელია, „სუფთა გააქუქყია-
ნოს, წმინდა გააცულოს და სიმართლე წაახ-
დინოს“. ასეთი აზრის მიდრეკილება მეტად
ნათლად გამოაჩნდა ლევ ტოლსტოის, რო-
მელიც, სამწუხაროდ, ითვლება წარმომად-
გენლად ამ შემთხვევაში განათლებული ხალ-
ხის დიდი ნაწილისა. განა ეხლა არ მოიძებნე-
ბა ისეთი ადამიანები, რომლებსაც უნდათ გა-
ამართლონ ძალმომრეობის ტერორისტული
საქმეები სახარებით, და თვით ამ ძალმომრე-
ობის გმირები ჩასთვალონ ქრისტიანობის მო-
წამეთა თითქმის თანასწორად? გარდა ყველა
ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანობა
არის არა განყენებული სისტემა, არამედ ცხო-
ველი ძალაა, რომელიც ქვეყნიურ სინამდვი-
ლეში უნდა მოქმედებდეს კაცის თავი-
სუფალი ნების საშუალებით. ამასთანავე, რო-
გორც ამაზე იყო ნათქვამი, ქრისტიანობა მი-

¹⁾ იხ. ზინ. საქ. № 25.

მართულია თვითეულ კაცის სულიადმი კერძოდ, იქერს საქმეს კაცის არსებობის იმ მხარესთან, რომელიც ზეცისკენ მიისწრაფის, და სტოვეებს გვერდზე ყოველივე სათუოს, რაც კი შეეხება მისი ცხოვრების გარეგნულ ფორმებს. ის არ ეხება და არა ჰმარტავს პოლიტიკის, უფლების, ეკონომიის კითხვებს არამედ პირობაპირ გერედ წოდებულ-საუკუნო კითხვებს ხსნის. ხოლო დანარჩენი კითხვების ახსნას თვით ხალხს მიანდობს. ამნაირათ, რჩება ფართო სამფლობელო ურთ-ერთ დამოკიდებულებისათვის ქრისტიანობრივ შეხედულობის და გარეგნული ცხოვრების სათუო მოვლენათა შორის, რომლებსაც აქვთ ისეთი მხარეები, რა-ზედაც სახარებაში პირდაპირ პასუხს ვერ ვიპოვნით, და სადაც კერძოთ აღამიანი, თავის შეხედულობაზე დატოვებული, შეიძლება შემცდარი გზით წავიდეს და სულაც ასცდეს ქეშმარიტებას. და აი ამიტომ სახიერი და ყოველად ბრძენი ღვთის განგებულება გვაძლევს ჩვენ ნამდვილ შემნახველს ქეშმარიტებისას და მის ხელმძღვანელს. ეს არის ქრისტიანობრივი ეკლესია, როგორც განსაკუთრებით, ზნეობრივ ერთიანობაზე დამტკიცებული, კავშირი ხალხისა, ერთის სარწმუნოებით და ერთის სასოებით შეერთებულისა. უფალმა იესო ქრისტემ წინასწარ სთქვა განუწყვეტელობა ამ კავშირისა, საუკუნო არსებობა ეკლესიისა. მას ვერ მოერგვიან ბკენი ჯოჯოხეთისანი (მათ. 16, 18). ეკლესიის ასეთი არსებობით უზრუნველყოფილია მთლიანად დაცვა ქრისტეს ქეშმარიტი მოძღვრებისა და მისი სწორედ გაგება. საქიროება ეკლესიურის კავშირისა თავის თავად მტკიცდება კიდევ იმ მოსაზრებითაც, რომ სახარების სწავლა—არის სწავლა სიყვარულისა. ერთის სჯულის-მდებელის კითხვაზე, რომელი მცნება უფრო დიდია სჯულში, მაცხოვარმა უპასუხა: „შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოველითა გულითა შენითა, და ყოველითა სულითა შენითა, და ყოველითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნება, და მეორე მსგავსი ამისი: შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი. ამით ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინას-

წარმეტყველნი დამოკიდებული არიან“ (მათ. 22, 37—40). აქედან ნათლათ სჩანს, რომ ქეშმარიტი ქრისტიანობა სრულდება და შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც არსებობს ხალხში კავშირი და ქრისტიანული სიყვარულით ურთიერთობა. ამიტომ უფალი იესო ქრისტე ჰპირდება იქ იყვეს, სადაც არის კავშირი ხალხისა მისი სახელით. „სადაც იყენენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათ. 18, 20). მაშასადამე, დიდათ სცდებიან ისინი, რომლებსაც ჩამოჰყავთ ეკლესიაზე შეხედულობა ცალკე კაცის პიროვნებამდის; და პოქრობენ რომ ცხოვრება შეიძლება პირადის, სახარების შესაფერისი განწყობილებითა გარეშე ეკლესიასთან ყოველივე ურთიერთობისა. პავლე მოციქული აღარებს ეკლესიის, როგორც მრავალთა კავშირს, სრულს, სადაც თვითეული ნაწილი ასრულებს თავის დანიშნულებას, თანახმად მთლიანობისა, და უმთავრესი ნაწილის დამორჩილებაში. „ვითარცა ერთსა მას გვამსა მრავალ ასოებ აქვს, ხოლო ასოებსა მას ყოველსა არა იგივე საქმე აქვს; ეგრეცა ჩვენ ყოველნი ერთ-გვამ-ვართ ქრისტეს მიერ, ხოლო თვითოეული ურთიერთარს ასოებ ვართ“ (რომ. 12, 4—5). სხვა აღვიღს იგივე მოციქული უწოდებს ქრისტიანებს ქრისტეს სხეულად: ვითარცა იგი გვამი ერთ არს, და მრავალი ასოები აქვს, და ყოველი იგი ასოები ერთისა მის გვამისა, მრავალთა თუ არს, ერთ გვამვე არს; ეგრეცა ქრისტე. რამეთუ ერთითა სულითა ჩვენ ყოველთა ერთისა მიმართ გვამისა ნათელ-ვიღეთ, გინათუ ურიათა, გინათუ წარმართთა, გინათუ მონათა, გინათუ აზნაურთა; და ყოველთავე ერთისა მიმართ სულითა გვისვამს. თქვენ ხართ ხორცი ქრისტესნი, და ასონი ასოთა მისთაგანნი.“ (ა. კორინთ. 12, 12—13, 27). უფალმა იესო ქრისტემ, დააფუძნარა ქვეყანაზედ ეკლესია, როგორც კავშირი ანუ ძმოება სახარების იდეალის მიმდევართა,—აღუთქვა მასთან ყოფნა საუკუნოდ (მათ. 28, 20); და სულის წმინდის მოვლენით მიანიჭა მას განუწყვეტელი მადლიანი თავისი შეწევნა ქრისტიანთა ქეშმარიტე-

ბის სწავლებლისათვის (იოან. 14, 26). თანახმად მაცხოვრის დაპირებისა, (იოან. 14, 16), — ნუგეშინის მცემელი სული წმიდა დაადგება ეკლესიაში საუკუნოდ, და მასთან, — ეკლესიის თითოეულ წევრში. თუ ეკლესიას ჩვენ შევადრებით სხეულთან, როგორც ამას მოციქული შერება, მაშინ სული წმიდა მასში იგივეა. რაც სულია კაცის სხეულში. ჩვენ სხეულს აქვს ბევრი ნაწილი, და ყველა ესენი მოძრაობენ და სტოცხლობენ ერთის სულით. და თუ მაგალითად, ერთ რომელსამე ნაწილს მოვაშორებთ სხეულს, სული არ გაპყვება იმასთან, არამედ იგი ნაწილი კვდება. ეგრეთვე ხდება ქრისტეს ეკლესიის სხეულშიაც. „რაც არის ჩვენი სული შესახებ ჩვენი სხეულის ნაწილებისა, — ამბობს ნეტარი ავგუსტინე, — იგივე არის სული წმიდა ქრისტეს სხეულთან, რო- მელიც არის ეკლესია“.



ბ. ახელის მოკლე შენიშვნის პასუხად.

ზოგიერთი ადამიანი ლაპარაკისთვის ლაპარაკობს და ამიტომ ცამდიც მართალი რომ იყოთ, და თითონაც კარგათ გრძობდეს ამ თქვენ სიმართლეს, მაინც ცილობს. ასეთი მოცილე ადამიანის გაჩუმების წამალი წაყრუებაა, თუ ცილობა ვიწრო წრიდგან არ გამოდის და თვალში არ ეჩხირება საზოგადოებას, რომელიც საცილო საგანზე შორს დგას ან კარგათ ვერ იცნობს. ეს უკანასკნელი მიზეზი გვაძიულეებს პასუხი გავსცეთ ბ. ახელის „მოკლე შენიშვნას“ „შინაური საქმეების“ შინაურ საქმეების შესახებ.¹⁾

ბ. ახელს კარგათ ესმის რა აზრით ვლაპარაკობთ, შინაურ საქმეებს ვიწრო²⁾ ნაციონალური მიმართულება არ აქვსო. ქართველი თავის დღეში არ ყოფილა ვიწრო ნაციონალისტი, საქართველოს ისტორიამ არ იცის უცხო ნაციების დევნა და ქართველებს არასოდეს აზრათ არ მოსვლიათ თავის ბედნიერების აშენება რომელიმე ნაციის უბედურებაზე. ერთი სიტყვით, ქართველი ერი არ ყოფილა სხვა ერის მკამელი, როგორც დღეს ვხედავთ ერი-ყლაპია ხალხებს. ეს ძირითადი თვისებაა

ქართველი ერისა და ვისაც ეროვნული გაზეთი უნდა გამოსცეს ჩვენში, მან ამ ნაციონალურ თვისებას არ უნდა უღალატოს. ყველა ერი ერია, ყველა ღვთის განენილია, ყველას აქვს უფლება არსებობისა და თვით-არსებობისა. მიუხედავად მრავალ ერი-ყლაპია ადამიანებისა და მთელი ხალხებისაც, ეს ჰუმანიური თვისება ქართველებისა საღვთო პრინციპადაა აღიარებული და ადრე, თუ გვიან, მთელ ქვეყნიერობას დაიპყრობს. ამ მხრივ ჩვენი გაზეთი სწორეთ ნაციონალურია, მაგრამ ბ. ახელს მაინც დასჭირდა არა ეროვნულ გაზეთად გამოცხადებია იგი, რის შედეგსაც, მისი აზრით, შეადგენს რედაქციის უსახსრობა.

რამდენათ სტყუის ბ. ახელი ჩვენი გაზეთის მიმართულების შესახებ, ვითომ მას „არამც თუ ვიწრო, არამედ არავითარი ნაციონალური მიმართულებაც არ აქვს“, ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინც თავს შრომის მისცემს და ჩვენი რედაქციის სამი წლის ნაშრომს გადაათვალიერებს. მეტს რაღას ვუჩივით ჩვენი გაზეთის № 26 ქართველ საზოგადოებას და განსაკუთრებით სამღვდლოებას, თუ არ უგულობს სამშობლო ჟურნალებისა და ლიტერატურისადმი. მე დარწმუნებული ვარ ბ. ახელიც ამ საზოგადოების წევრია და საზოგადო სენი მასაც სდევს ჩვენი გამოცემის შესახებ მაინც. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბ. ახელი ისეთივე მკითხველია „შინაური საქმეებისა“, როგორც არის თბილისის სამღვდლოების უმეტესი ნაწილი, როგორც არიან მთელი თბილისის ქართული რედაქციები, რომლებმაც თავის გამოცემების ღირსიც არ გაგვხადეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თავი დგანვე უგზავნიდით მათ ჩვენ გამოცემას და მხოლოდ მაშინ დავანებეთ თავი, როცა დავრწმუნდით, რომ იგინი თავილობენ ჩვენთან საქმის დაქერას. „დროების“ რედაქციას სთხოვეს კიდევ ჩვენ მაგიერ გამოცემის გაცემა, წერილიც მივიღეთ ჩვენი თანამშრომლისაგან, რედაქცია მზათ არის გამოცემის შეცვლაზეო, ჩვენი მხრით კიდევ დავიწყეთ გაზეთების გზავნა, მაგრამ. ავცილდით კოცხის ზარბაზანი ან კი რა ვასაკვირვალა მესაკურთხე ხუცის გაზეთს ყურადღება არ მიაქციონ ისეთმა რედაქციებმა, რომლების საწერ მაგილას ამშვე ნებენ ისეთი მეცნიერები და პუბლიცისტ-კრიტიკოსები, როგორებიც არიან ი. გომართელი, თვით ახელი. „ივერიის“ რედაქტორს თვით „შინაური საქმეების“ რედაქტორი ეხლა და სთხოვა გამოცემების შეცვლა; ჩამოსვლისათ-

1) იხ. სახალხო გაზეთი № 44.
 2) ჩუბინაშვილის ლექსიკონში ნაშთარია: ვიწროც და იწროც. ამიტომ მიუხედავად ახელის კითხვითი ნიშნისა, ორივე ფორმას ვახსოვრებლად ვხმარობთ.

ნავე გამოსული ნომრები გაუგზავნა, მაგრამ „ივერიის“ ერთი ნომერიც არ მიგვიღია ჩვენც გავჩუმდით და, რაც შეგვეძლო, ვმუშაობდით, რა თქმა უნდა, ქართველთათვის.

თუ ეს ასეა, თუ ბ. ახელს ხელს არ აძლევს ჩვენი გამოცემის კითხვა, მაშ საიდგან იცის მან, რომ ჩვენი გამოცემა სრულებით მოკლებულია ნაციონალურ გრძობას? ხელობით მოცილეს საბუთები არ სჭირია, მისთვის საკმარისია, რომ ყოველ „ჰო“ზე „არას“ თქმაც შეიძლება მით უფრო, თუ საზოგადოებამ ამ „ჰო“-ზე არაფერი იცის, როგორც მაგ. ქართველების და ქართული რედაქციების უმეტესობამ ჩვენს გამოცემაზე ბ. ახელი რომ ზერემოცილედ იყოს და რაღაც ქვენა აზრებით გამსქვალული ჩვენი გამოცემის წინააღმდეგ, „ზინაური საქმეების“ იმავე ნომერში, მესამე გვერდზე, სწორეთ იმ მოწინავე წერილ ქვეშ, რომელიც მას საბუთს აძლევს გვლანძლოს, წაიკითხავდა წერილს შემდეგი სათაურით: „უფუღლებო ეკლესია,“ რომელიც სრული ნაციონალურია და საკმაოდ გაბედულიც ამ სასტიკ რეაქციის დროს. მართალია რუსული-დგან არის თარგმნილი, მაგრამ ეს სრულებითაც არ უკარგავს ამ წერილს ღირსებას და თუ ახელისათვის იგი უცხო არ არის, გაიხსენოს, რომ ბენდიერ მთვარეზე დაბადებულ ახელს გარდა კიდევ არიან მკითხველები და მსმენელები, რომლებსაც „პეტერბურგის ვედომოსტები“ არ დაუდისთ. შემდეგი სტატია იმავე № ში შესახებ ბიჭვინტის ლეთისმშობლის სადაო ხატისა და ამ სტატიაში გამოთქმული მწარე აზრები რით არ არის ნაციონალური? შემდეგ, თვით ის ყმად აღებულ წერილი მარტვილიდამ განა მიტომ არ არის ნაციონალური, რომ მონასტრის გამშვენებაზეა ლაპარაკი, ან მონასტრის წისქვილზე, რომელიც მისთვის უმართლოთ წაურთმევიათ? თვით თქვენგანვე ყბად აღებულ №-ს რომ არ დაკვირვებიახართ, ბ. ახელო, რათ არ გრცხვენიათ, რომ ხელმოსმით უარყოფთ ჩვენი გაზეთის ნაციონალურ მიმართულებას?

შეიძლება ჩვენ ნააარგმნებში ხედავთ არა ნაციონალურ მიმართულებას, ბ. ახელო. მაგრამ წარმოიდგინეთ, უმეტესი ნაწილი იმ ნათარგმნებისა, რომლებიც ჩვენ მოვათავსეთ ჩვენ გამოცემაში, ყოველ ნაციონალურ მისწრაფებაზე მლლა სდგას და შეეხება სარწმუნოების უცვალებელ დოღმებს. მათზე სჯაბაასი მხოლოდ არონირათ შეიძლება, ვინც

უნდა სჯიდეს. და განასულ ერთი არ არის ვინ ლაპარაკობს მათზე ქართველი, თუ რუსი, თუ ბერძენი, თუ იგი მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებელია და მართლმადიდებლურად სჯის? განა ორი მართლმადიდებელი აზრი იესო ქრისტეს პიროვნებაზე შეიძლება? გეტყობათ, ბ. ახელო, სხვა მხრივ გნებავთ განავითაროთ ქართული საღვთისმეტყველო ლიტერატურა, აი, სწორეთ ისე, როგორც ავითარებდენ მას ცნობილი დღევნაგატები....

თქვენი აზრით ქართველ სამღვდლოებას, მათი კითხვა ორიგინალგზიაც მოსწყინდა არა? მაშ ერთი დავისახელებთ, გეთაყვა, რამდენი გყავთ თბილისის ეპარქიაში ისეთი მღვდლები, რომლებსაც ზედმეტი კიბხვით მობეზრებული აქვს რუსული საღვთისმეტყველო ლიტერატურა და მე დავისახელებთ აურაცხელ სამღვდლო და საბერო პირებს, რომლთაც არა თუ მობეზრებით, არამედ არც კი ჩაუხედავთ არავითარ საღვთისმეტყველო წიგნში, გარდა ეამნ-დავითნისა. იქნებ თქვენ ნაცნობებზე სჯიდეთ, ბ. ახელო, მაგრამ ეგ ხომ ნაწილი იქნება მთელი სამღვდლოებისა? და მათშიაც, ვინ იცის, მაიმუნისა და სარკის არ იყოს, მოიძებნოს თითებზე ჩომოსათვლელი.

მაშ ამ მხრივაც ჩვენი გაზეთი ინტერესოკლებული არ უნდა იყოს უმრავლესობისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც დაინტერესებულია სარწმუნოების საქმეში, ვინც არ გახვეულა პარტიობის ქსელში და წუთიერი ცხოვრებისათვის, ე. ი. კუქისათვის, არ შეუწირავს მომავალი საუკუნო ცხოვრება, ვინც მღვდლობის ხარისხს ხმარობს სარწმუნოების განსამტკიცებლად და არა თავის გამოსაკვებად, ვისაც ანაფორა ცბიერობით არ აცვია, რათა გარეგან ეჩვენოს ცხვრად, „ხოლო შინაგან იყოს მგელ მტაცებელ“.

სასაცილოა, რომ მეტი არა ვთქვავთ, ბ. ახელის მსჯელობა შესახებ მისა, რომ „სამღვდლოება, რომელმაც ზურგი შეაქცია „ზინაურ საქმეებს“, ბეჯითად კითხულობს საერო ეურნალგაზეთებს.“ როგორც ვიცით ბ. ახელი ხშირი სტუმარია „სახალხო გაზეთისა“ და აბა ერთი მიბრძანოს, რამდენი ხელის მომწერი ჰყავს ამ გაზეთს სამღვდლოთაგან? თუ საზოგადოთ ამბობს ყველა საერო ეურნალგაზეთებზე, მაშინ მიბრძანდეს ფონტაში და სათითაოდ გადმოიწეროს გვარები იმ მღვდლებისა, რომლებსაც ეურნალგაზეთები დაუდიან. თუ ესეც დაეზარება, იანგარიშოს, რამდენი

ცალი გამოდის სულ ჩვენი ჟურნალ გაზეთები და რამდენია ჩვენი სამღვდლოების რიცხვი. გამოვა, რომ ბევრათ არაღმეტება პირველი მეორეს და თუ სამღვდლოება ბეჯითად კითხულობს ამ ჟურნალ გაზეთებს, რათ არის სავსე რედაქციის თაროები ძველი გაზეთებით, რათ არის, რომათას ხუთასი ცალი გაზეთიდგან რედაქცია სთითქმის ნახევარი უბრუნდება უკან თავის აგენტებიდგან?

რათ არის, რომ ყველა რედაქციები იხრჩობიან უსახსრობით და მარტო განცხადებებით იბრუნებენ ტანჯულ სულს? რას ნიშნავს რედაქციების წუწუნი და ღრტიანი, იქნებ ვინმე უფასო სტატიები მოგვაწოდოთო? რას ნიშნავს, რომ თანამშრომლები (რომლებიც სამსახურში არსად არიან) შიმშილით იხრცებიან? სად არის თქვენი საქართველოს არა მკირდრიცხოვანი ბეჯითი სამღვდლოება, რომელსაც, თუ ბეჯითი ყოფილიყო, საერთოდ ყველა ქართულ რედაქციების რჩენა შეეძლო? შინაარსის მხრით განა არ ეტყობა უფულობა და უსახსრობა თქვენ საერო ჟურნალგაზეთებს, რომლებზედაც საზოგადოთ ასე ამბობენ, შიგ არაფერი ყრიაო? კარგათ დაუფიქრდით!...

ჩვენც კი გვინდა მოვეხსროთ იმ დროს როცა ქართველი სამღვდლოება და საერო საზოგადოება ბეჯითად მოკიდებენ ხელს სამშობლო ლიტერატურას, მაშინ ჩვენი შინაური საქმეებიც არ იქნება ინტერესმოკლებული, მაგრამ... ვინ ეღირსება ასეთ ბედნიერებას! ნეტავი თქვენ, ბ. ახელო, რომ ასეთი აზრი შეგიდგენიათ ჩვენი სამღვდლოების ბეჯითობაზე და განგისვენებიათ, იმედნული, რომ თქვენი „მოკლე შენიშვნა“ ჩვენი გაზეთის შესახებ წაკითხული იქნება მთელი სამღვდლოებისაგან კასპიდან შავ ზღვამდე!

P. S. რაიცა შეეხება ჩვენი გაზ. გამოსაწერად რესებს, „ვისაც შია, მეპურეს მოსძებნის“. ყოველ შემთხვევაში აქვე ვათავსებთ მოკლე და ზედმიწევნით სწორად რესს: **Кутаисъ Ред. Шинаური Сакмееби**. იმედია, თქვენც გამოიწერთ, ბ. ახელო, რადგან, როგორც სჩანს თქვენი შენიშნიდგან, საქიროა დაახლოებით გაეცნოთ მის შინაარსს, რათა შემდეგში მიინც იღარა სკოდოთ... ცხლის წამება დიდ ცოდვათაა აღიარებული როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში....

რედ

ახელის უმსბავსი „მოკლე შენიშვნა.“¹⁾

ღვთისაგან ნაკურთხსა და დალოცვილს ჩვენ უხვ სამშობლოში ზაფხულობით მოდის ერთგვარი მცენარე, რომელიც ფოთლებითა და ნაყოფით ცოტად კიტრს წააგავს და ამის გამო ხალხს **კიტრანა** დაუჩქმევია მისთვის სახელად. საოცარი მცენარეა ეს **კიტრანა**: როდესაც მისი ნაყოფი დამწიფდება, სულ ოდნავ რომ შეეხო, იმწამს იფუჭებს, გაეხსნება ყუნწის მხრივ პირი, საფანტივით მოგაყრის თავპირში თესლს და გაგწუწუყავს მყარლი და შხამიანი წვენით.

ახელის ნაწერების კითხვის დროს, ყოველთვის თვალ წინ მიდგება ხოლომე ხსენებული მცენარე, **კიტრანა**. ახელის სული და ბუნება კიტრანას ნაყოფივით გაქვდილია მყარლი გესლით და ვაი იმას, ვინც ახლო გაუფლის, ვინც მას რამეფერათ შეეხება. მწიფე კიტრანასავით მაშინათვე დაშხამავს და დადორბლავს! ასეთი საჩოთირო საქმე შენთხვევია ჩვენს გაზეთ „შინაურ საქმეებს“. არ ვიცით რა ფრად, მაგრამ „შინაური საქმეების“ ამ წლის № 26 ხელში ჩავარდნია ახელს და მის გამო „სახალხო გაზეთის“ ფურცელზე ამ ვაგებმტონს უხვად დაუნთხევია თავისი გესლი და კიტრანას მყარლი თესლივით მიუხლია მკითხველისათვის უმსგავსი „**მოკლე შენიშვნა**“.

ვინც უღმობელ გარემოებათა გამო იძულებული იყო ეკითხა 1905 წელში სათაჯილო და ავად სახსენებელი გამოცემა „სიტყვა“, რომელიც თბილისში ისტამბებოდა, კარგად ეხსოვება, რა უკიდურესი და უარყოფობითი მიმართულების მიმდევარი იყო იგი სარწმუნოებისა და ეკლესიის შესახებ. ახელი ამ გამოცემის ერთ უმთავრეს სვეტად ითვლებოდა და აბა ასეთი მიმართულების მიმდევარს რად მოეწონებოდა „შინაური საქმეების“ სარწმუნოებრივი, ქრისტიანული და ზნეზრევი სულთქმა, თვალთა ხედვის ისარი და მიმართულება! „შინაური საქმეები“ შეძლებისადაგვარად ემსახურება „ქრისტეს ჯვარცმულსა“ და ვინ არ

¹⁾ ეს სტატია თანამშრომლისგან მივიღეთ და აქვე ვათავსებთ.



იცის, რომ ახელისა და მისთანების თვალში ასეთი საქმე წყლის ნაყვა და სისულელეა.

მაგრამ ვერც ერთი პანეგირიკი ვერ გაუკეთებდა „შინაურ საქმეებს“ ისეთ კეთილ სახელს, როგორც ეს, თავისდა უნებლიეთ, მოახერხა ახელმა. ბოროტი მიმართულების მიმდევართაგან ლანძღვა და გმობა ყოველთვის უმჯობესი მოწმობაა პატიოსანი მოღვაწისათვის და ამ შენახვევაშიაც ახელისაგან „შინაური საქმეების“ გაკაცება და გმობა უტყუარი საბუთია იმისი, რომ ეს ორგანო ნამდვილად სარწმუნოებრივი, საქრისტიანო და სასულიერო ორგანოა და, რაც უნდა ბევრი წეროს ახელმა, ეს—დადებითი სიკეთეა ჩვენი ორგანოსი. სწორედ ამ აზრი გამოცემა ეპირობა ჩვენს ამდევლოებს ასეთი ორგანო გაუღვიძლეს ჩვენს ეს საომაროებრივ გრძნობას. „შინაური საქმეები“ რომ ჰქონდას მიღწევას და ეკლესიას გმობდეს, მაშინ ახელიც ქებადიდებით მრევლებოდა მას, მაგრამ შარსჩვენგან ასეთი ქება! ეს იქნებოდა ჩვენი დამბობა; დღეს კი ახელის მხრით შინაური საქმეების ლანძღვა-გინება ყველას არწმუნებს, რომ ამ ორგანოს თავის მთავარ დანიშნულებად დაუხაზავს ხალხში სახარების წმინდა თესლის შეგნებულად გავრცელება და ამაზე მეტი მოწმობა გახუთის მიმართულების სიკეთის აღსანიშნად საქრო არ არს.

„დროა შეგნოს „შინაურ საქმეების“ ოცდაქეცაო.“ ბრძანებს ახელი, „რომ ქართულ ამდევლოებს, ვითვისაც ის თავს იტყვევებს, ეპირობა სწორედ ნაციონალურ მიმართულები სასულიერო ორგანო ნამდვილად ეროვნული და წმინდა ეროვნული. სწორედ ეს ხასიათი აკლია დღეს „შინაურ საქმეებს“ და მხოლოდ ამ მიზეზით ვერ იკიდებს ის ფეხ ქართველ საზღვარდევლოებში“—ო ბჭობს უცნაური პუბლიცისტი.

ოჰ, ღმერთო, ახელი და ნაციონალისტობა?!? რა აქვს ახელს ნაციონალური, ქართული სწავლა-გნათლება, სამსახური თუ ნაწერები? არაფრისაგან არაფერი. სწავლითა და სამსახურით ახელი, ვინც გნებავთ ის არის, გარდა ქართველისა და მწერლობით კი უსარ-

გებლო და ყველაფერ დ გამოუსადეგარი კიტრანასავით ფუჭია ჩვენთვის ახელი და არავისთვის არ გვშურს მისი თავის დათმობა.

უტყველია ახელს თავი მოსწონს, რომ მისი სახელით ფელეტონები იბეჭდება ხოლმე საერო გაზეთებში და ფიქრობს ამითი სამშობლოს ვემსახურებო. საბრალოს არ ესმის საქმის ვითარება! საერო გაზეთებს ახელისთანა კალმოსნები დიდათ ესაქიროებათ, მაგრამ ამითი როდი მტკიცდება, რომ ამ ჯურის მწერლები რამე სარგებლობას სძენდნენ თავიანთ სამშობლოს. არა, აქ სამშობლო არაფერ შუაშია. ხშირად საქმეში გართულ დედას მოსვენებას არ აძლევს ხოლმე მისი პატარა კუნწულა და რომ თავიდან მოიშოროს ასეთი ონავაღი, იგი უჩვენებს მას კიტრანას ბუჩქს და ეუბნება:—გაიქეც, შვილო, მოწყვიტე აგვის კიტრი და მომიტანე აქაო“. ცელტიც მკურნალებს კიტრანაკენ, სწყვეტავს ნაყოფს, მაგრამ იგი უსკდება ხელში და შხაპუნასავით აპკურებს მას თავის წვენი. ბავშვს ჯერ შეეშინდება, შეკრთება ასეთი მოულოდნელობისაგან, მაგრამ ცნობის მოყვარეობა იზიდავს, მსწყვეტს მეორეს, მესამეს და იქამდე ერთობა, რომ კარგა ხანი აღარ კითხულობს დედას. აი ასეთი ბალღური გართობისათვის სკირდებათ ხოლმე ხანდისხან საერო გაზეთების რედაქციებს კიტრანა ავით შხაპუნა და ტყაცა-ტყუცა მწერლები და აბა რა უნდა ეყაროს მათ ნაწერებში? რა უნდა შესძინონ მათ ქვეყანას? ზედგამოჭრილად ასეთებია ახელის ყველა ნაწერები: გარდა შუშხუნ-შხაპუნის და ლაზრო ტყაცი ტყუცისა მის ნაწერებში ვერსად აზრსა და საღ მსჯელობას ვერ შეხვდებით. მართლად აბა ეცადეთ რომელიმე სწორი აზრის აღმოჩენას იმ შენიშვნაში, რომელიც ახელს მიუძღვნია „შინაური საქმეებისთვის“ „სახალხო გაზეთის“ № 94! ან რა შეგვმატა, რა შეგვიძინა ახალგაწიანდელი ფელეტონით—აგარაკე ყოფნის დროს დაფრწუნდი, რომ ჩვენს ქალებს ქართული არა სცოდნიათ, რუსულსა და ქართულს დომბალივით ურევენ ერთმანეთშიო? განა გუშინდელი სენია ეს ჩვენი ერის ცხოვრებაში? განა ამის თაობაზე ცოტა თქმულადა

ცოტა დაწერილა ჩვენს პრესაში? ვისთვისაა სა-
ქირო ეს წყალ-წყალა ფელეტონი? რას უნ-
და ვეძებდეთ ახელის ნაწერებში საზოგადოთ,
როდესაც შემოქმედებითი ძალა მისი გონებისა
განისაზღვრება მხოლოდ ათასთაგან ნაღვესა, და
ამოცოხნილის დღეება-შხაპუნით! დაწვით დღეს
ახელის ნაწერები და ამით ქართველ ერს არაფე-
რი არ მოაკლდება.

ახელი დასცინის და აბდა—უადას უწო-
დებს ონოფრე მწირის წერილს ბერობის შესა-
ხებ. რატომ? იქნება ამას ამტკიცებდეს ახელი
ონოფრეს წერილის შინაარსის არსებითად
გარჩევითა? მე არ მოგიკვდეთ, არა. აქ ახელს
აღაპარაკებს პირველათ ის, რომ მას მეტისმე-
ტად სძულს და ეზიზღება საერთოდ ბერობა
და მეორეთ ონოფრე მწირი ყელზე ადგია მას
იმის შემდეგ. რაც ამ პატიოსნებით აღვსილმა
ქაბუკმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა დარბაი-
სელი, „ლიტერატურული წარსულის მექანი“
ახელი სამღვდლო ტანისამოსის ტარების გამო-
სარჩლებით ცუდად სახსენებელ „სიტყვაში“.

ქვებუდნაობის და კერძო ანგარიშების
გასწორების სურვილითაა აგრეთვე გამოწვეუ-
ლი ის წრიბინი, რომელიც ახელს გაუბამს
მარტივლის მონასტრის წისქვილის გაკეთების
ამბის შეტყობის გამო. ახელიც იმდენად გულ-
მტკინეულობს კერძო პირებზე, რომლებიც
ვითომდა წინეთ სარგებლობდნენ მარტივლის
მონასტრის წისქვილით, რამდენადაც იუდა
ისკარიოტელი ზრუნავდა გლახაკათვის, რო-
დესაც ლაზარეს დას მარიაჰს, რომელმაც ნელ-
საცხებელი ჰსცხო იესო ქრისტეს, დაუწუნა
ეს საქციელი და სთქვა: „რაისთვის ნელსაც-
ხებელი ესე არა განისყიდა სამასისა დრაჰკის
და მიეცა გლახაკათა?“ თუ ახელს ნამდვილათ
ებრალება ღარიბი ხალხი, თუ ის ამ შემთხვე-
ვაში იუდასებარ არა მზაკვარობს, უეჭველია,
მის გარეშემოც ბევრი იქნებიან ულუკმაპუ-
რონი, დაუთმოს მათ თავისი კერძო ქონება,
გამამტკუნოს ამითი მე და პირობას ვსდებ,
რომ ჩემს ნათქვამს უკან წავიღებ, ბოდიშს
მოვიხდომის წინაშე და „ზინაური საქმეობის“
რედაქცია, მიუხედავად თავისი სიღარიბისა,

ყოველ თვე უკზავნის ახელს ორ იმოდენას, რა-
საც მარტ-ვილის თითო მღვდელმონაზონი
ღებულობს თვეში ჯამაგირად და ხსენებული
წისქვილის შემოსავლიდან. მანმდისინ კი ახე-
ლის ზრუნვას ღარიბებზე ვთვლით იუდას
სიბრალულად გლახაკებისადმი.

იგივე სამღვდლოება (იგულისხმე ქარ-
თული), რომელსაც თურმე ზურგი შეუქცევია
„შინშირი საქმეებისათვის“, ბეჯითად კითხუ-
ლობს საერო თურნალ-გაზეთებს“. ბძანებს ახე-
ლი და აქაც იუდასებარ მზაკვარობს; იმან და-
ბეჯითებით იცის, რომ ქართველ სამღვდლო-
ებას ვერავინ ვერ უქებს საერო თურნალ-გაზე-
თების ბეჯითად კითხვას, იცის, რომ ეს მტკნა-
რი სიცრუე და ზღაპარია, მაგრამ მაინც გაი-
ძვერაობს, იქნება ვერაგული თავის მოქონვით
მღვდლები მოვიმადლიეროო. ცრუობს და იუ-
დასავით გაიძვერაობს ახელი, როდესაც სწერს
„ქართველ სასულიერო პირს მოკარბებული
აქვს რუსეთის სასულიერო თურნალ-გაზეთების
ზოგადი აზრები“.... „სტრანნიკი“, „ბოლო-
სლოვსკი ვესტნიკი“ „ხრისტიანსკოე ჩტენიე“
და სხვა ჩვეულებრივი წიგნაკები, უეჭველია,
ონოფრე მწირზე ადრე წაიკითხა ქართველ
სამღვდლოების უმეტესობამ მაინც“-ო.

არა, ეს მთლად მოკლებულია სიმართლეს.
ჩვენ ხელთა გვაქვს ჩვენი ქვეყნის ფოშტის სა-
დგურებში შეკრებილი დანამდვილებითი ცნო-
ბები და ეს ცნობები გვარწმუნებენ, რომ სა-
ქართველოს სამღვდლოების სულ მცირედი,
სულ ნაკლები და მხოლოდ გამონაკლისად ჩა-
სათვლელი ნაწილი თუ ღებულობს კანტი-
კუნტად ჩამოთვლილ საღვთისმეტყველო თურ-
ნალებს, თორემ უმრავლესობა სრულებით
თვალ-ყურს არ ადევნებს მათ. და განა თითონ
ახელს მართლა გული ასუყებული აქვს მისგან
ნმჩვენები თურნალების კითხვით? შემოგფიცავთ
—არა. ახელი თავისებურად ცბიერობს, კიტ-
რანას თესლს გვაცურის თვალეებში, უნდა რომ
მოგვადოროს, შემომხედეთ, რა ვაჟი ვარ, რუ-
სეთის საღვთისმეტყველო თურნალებს არა
ვკადრულობ, მე სულ საზღვარ გარეთელ თხუ-
ზულებებს ვკითხულობო! ასეთმა ცბიერებამ
შიშთვილებამდე მიიყვანა იუდა. იქნება მის გზაზე

დამდგარმა ახელმაც ოდესმე ეს ბოროტებაც ჩაიდინოს და ნუ გაგიკვირდება, ჩემო მკითხველო! ეხლა კი „შინაური საქმეების“ მკითხველებს ურჩევ, შორს უარონ ბ. ახელს, თორემ ის კიტრანასივით გაიტკვლიცება და ყველას გასწუწავს თავისი ავისუნიათი გესლით.

ლევანსამელი.



**უ-დ სამღვდლო ლეონიდს მოგზა-
ურობა გუბიაში.**

გაგრძელება¹⁾

ხალხის დალოცვის შემდეგ მისი მეუფება წავიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან, რომელიც იმ დღეებში სამსახურის გამო მოსულყო ოზურგეთში. დარბაზობის დროს ეპისკოპოსმა ლაპარაკი ჩამოუგდია გუბერნატორს ხეარბეთის საზოგადოების შევიწროების შესახებ და სთხოვა მას მოხსნა ეკზეკუციისა, მაგრამ არ გასკრა შეუამდგომლობამ: „თქვენ, უეჭველია, გაიგებდით, რომ გურულებმა ამ დღეებში დაამტკრიეს მატარებელი, გურიისაში ავკაცობა არ ისობა და ეკზეკუცია რომ მოეხსნა, მერე აქ ცხოვრება შეუძლებელი გახდება, ამიტომ ვწუხვარ, რომ თხოვნას ვერ გისრულებთ და, პირიქით, იძულებული ვხდები უფრო სასტიკ ზომებს მივმართო“, სთქვა გუბერნატორმა.

შემდეგ მისმა მეუფებამ ინახულა ქალაქის თავი, ოზურგეთის საბატო პირები და მიბმანდა სასულიერო სასწავლებელში. სასწავლებელში ეპისკოპოსმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართულ გალობას. გალობის მასწავლებელს, ფილიმონ ქორიძეს, უბძანა, რომ მოწაფეთა გუნდს ეგალობა. გამოუძახეს სხვა და სხვა კლასებიდან მგალობელ მოწაფეებს და შესდგა გუნდი. დაიწყეს თავიდან წირვის წესი, მაგრამ თქვენს მტერს იქ რო იგალობეს: არაფერი გემოვნება, არაფერი წყობილება, არაფერი ჰარმონია არ გამოდიოდა! უ-დ სამღვდლო უკმაყოფილო

¹⁾ იხ. შინ. საქ. № 26.

დარჩა და ბ. ქორიძეს უთხრა: გურული გალობა რომ ნამდვილათ ასეთი უსიამოვნო მოსასმენი ყოფილიყო, თითონ ხალხი დაივიწყებდა მას და დღეს აღარავის ეხსომებოდა იგი, მაგრამ არა, იგი მეტად სასიამოვნოა, მეტად მომხიბლავია კაცის სმენისა და ერი არასოდეს მას არ დაივიწყებს. დიდად ვწუხვარ, რომ ამ მოზარდ თაობას უბღალავთ სმენას რაღაცა უცხო კილოს გალობითო“.

ბ. ქორიძე ძალიან მოხუცებულია, ყურთასმენა დასუსტებია და დღევანდელი მისი მასწავლებლობა მისი სახელოვანი წარსულის დამცირებაა...

ამ დღეს მღვდელმთავარმა ინახულა კიდევ მელიქედურის ორი ეკლესია. ორივენი ახლო არიან ერთი მეორეზე, მაგრამ შუაში ჩაუდით მდინარე ნატანები და ამიტომ მათი შეერთება უხერხულად უცნიათ. ეკლესიები ერთი და მეორეც თორღი ქვისაგანაა აგებული. პირველ ეკლესიაში ხატები არის, მაგრამ შეხედავთ თუ არა გული შეგიღონდებათ ისეთი შეუფერებელია. ეს მხატრობა მოგაგონებთ ბ. ი. ბაბუნაშვილის შაჯის ნამოქმედარს, რომელსაც არა ერთი და ორი ძვირფასი ეკლესია შეუბღალავს თავისი უმგვანო ნაშრომით იმერეთის ეპარქიაში.

დიდი გაბედულობა კია საქირო, რომ ასეთ უმგვანო ნამუშევარში კაცმა ფული გადაახდევინოს მრევლს, მაგრამ, ჩემო მკითხველო, განა რომ მრევლიც შეუგნებელი ყოფილა და ამით უსარგებლია მხატვარს!

უ-დ სამღვდლომ წინადადება მისცა ხალხს, როცა შეძლება გექნეთ, ეს ხატები გადააკეთებინეთ, თორემ წმიდანებს კი არა, თქვენ თავსაც შეგაძულვებთ მათი ცქერაო.

მეორე მელიქედურის ეკლესიაში, რომელიც იმავე გეგმისაა, როგორც პირველი, ს რ უ ლ ე ბ ი თ არ არის ხატები. საკვირველია, რათ სკოლნიათ დასავლეთის საქართველოს მღვდლო-მთვრებს ეკლესიების კურთხევა უხატოთ? ან კურთხევის შემდეგ რომ უთვალთქრებიათ ასეთი ეკლესიები, რატომ ზომები არ მიუღიით, რომ შეეძინათ საქირო სამკაული და ხატები?!

ეპისკოპოსმა მრევლს აუხსნა ეკლესიის მოწყობის მნიშვნელობა და დაეკალა,

რომ უსათუოდ შეიძინონ ამ მოკლე დროში საჭირო ხატები.

13 მარტს მისმა მეუფებამ გადასწყვიტა ნახვა ქაქუთის, ჭანეთისა და ლეხაურის ეკლესიებისა.

ს. ქაქუთი გურიის განაპირა სოფელია, იგი მდებარეობს აჭარის მახლობლად, მოსახლეები, გარდა ოცდაათი კომლი ქრისტიანებისა, სულ ქართველი მაჰმადიანები არიან. ქაქუთის მდებარეობა მალლობი და ხშირი ტყიანია. საზაფხულოდ საუცხივო საცხოვრებელი იქნება. ამ სოფლის ეკლესია ხისა, პატარა და ღარიბი მოწყობილია. ვინც კი იყვნენ ქრისტიანები ქალიან კაცთანად ყველანი მოვიდნენ ეკლესიაში. ყ-დ სამღვდლომ შემდგომს მოძღვრებით მიმართა მათ. „მოხარული ვარ, ჩემო სულიერო შვილებო, რომ დიდიდან პატარამდე გხედავთ ამ თქვენს სამლოცველოში. მღვდელთ-მთავრის ბედნიერებას შეადგენს გაცნობა თავის სულიერი შვილებისა და დარწმუნება მათში, რომ მისი სამწყსო მიმღევარია ქრისტეს მოძღვრებისა.

მე თქვენ პირველათა გხედავთ და, შეიძლება, ჩემი აქ მოსვლა უკანასკნელიც იყოს. აი ამ ჩემის მოსვლით გავალბებთ, როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებსაც, გიყვარდეთ ეკლესია, იარებოდეთ უკლებლივ წირვა ლოცვაზე და ყოველ წლივ მიიღებდეთ ზოლმე იესო ქრისტეს სისხლსა და ხორცსა.

თქვენ განსაკუთრებით მოგეთხოვებათ მტკიცეთ დგომა სარწმუნოებაზე, რადგანაც სულ განსაკუთრებულ პირობებში ცხოვრობთ. თქვენს ცხოვრებას უყურებენ და თვალს ადევნებენ თქვენი მეზობლები, სისხლით და ხორციით თქვენი ძმები და ნათესავები, თქვენსავით მკვირცხლად მონუბარნი ქართველი მაჰმადიანები. დღეს თქვენსა და მათ შუა ამართულია შუა კედლათ, მაჰმადიანობა, მაგრამ თუ თქვენ მიმდევარი იქნებით ყოფა-ქცევაში და მოქალაქობაში წმ. სახარებისა, თუ ცხოვრებაში ნამდვილათ დასული გექნებათ ქრისტიანული ზნეობა, იცოდეთ, რომ თქვენი მეზობელი მაჰმადიანები თითონ მოვლენ და თითონ შემოუერთდებიან ერსა და ეკლესიას, ესკი თქვენთან დაუქნობელი გვირგვინი იქნება

აქაც და იმ სოფელშიაც. გაკურთხოთ უფალმა!

აქედამ ყველამ ფეხით ჩავიარეთ თავდაღმართი და ჩავედით ქაქუთის ერთ კლასიან შკოლაში.

ეს შკოლა ინახება ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების ფულით. შკოლაში სწავლობენ, როგორც ქრისტიანები, ისე მაჰმადიანთა შვილები. მოწაფეთა რიცხვი აღის ორმოცამდე. გამოცდის დროს მეტი ყურადღება მიაქცია მისმა მეუფებამ მაჰმადიან ბავშვებს. ბავშვები იქნენ გამოცდილნი რუსულში, ქართულში და ანგარიშში. მოწაფეები შესაფერ პასუხებს იძლეოდნენ და ამით დიდათ ნასიამოვნები დარჩენ მათი მშობლები, რომლებიც გაფაციცებით ისმენდნენ თავიანთ შვილების პასუხებს.

ყ-დ სამღვდლომ დაარიგა მოწაფეები: „ბეჯითად იარეთ კლასში, იმაცადინეთ,“ ბევრი იკითხეთ, ბეჯითად სწერეთ და ბედნიერი კაცები გამოხვალთო.“ შემდგომ მაჰმადიან ქართველების თავ კაცებს უბრძანა: „ბოვშებს ნუ დააბრკოლებთ, ვინც სახლში გყავთ, ყველანი შკოლაში გამოგზავნეთ, რომ წერა-კითხვა ისწავლონ და კაცები გამოვიდნენო.

„აბა, ბატონო, ეგ თქვენს მოწყალებასა დამოკიდებული, ეს კლასი ეპ. დანიანმა გაგვიხსნა, თქვენც ნუ მოგვაკლებთ მამობრივ მოწყალებასო“, უპასუხეს მას თავმა კაცებმა.

დიდათ საჭიროა, რომ ეს სასწავლებელი გადაკეთდეს ორ-კლასიანად და მის ხელმძღვანელად დანიშნოს ჭკუა დამჯდარი და გამოცდილი პედაგოგი.

ქაქუთის შკოლის გახსნის ინციატივა განსვენებულს ევტიხი მამინაიშვილს. ეკუთვნის, მეტად სიმპატიური და სვინილისერი მუშაკი იყო ცხოვრებული მამინაიშვილი. მან დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს მათის შვილებს საერთოდ და სვანებს განსაკუთრებით. მამინაიშვილის დანიშვნამდე სვანეთში ძლიერ-ძლიოზით ერთი სასწავლებელი ღონილილობდა და მამინაიშვილის მისვლამ კი მთლად ფერი უცვალა მივიწყებულ სვანეთს. ერთი წლის განმავლობაში ეტვიხიმ ექვსი სასწავლებელი გახსნა გააღმა სვანეთში, მასწავლებლათ

სულ რჩეული სემენარიელები გაამწესა და ყველას შესაფერი ჯამაგირი გამოუტანა. სასწავლებლებისათვის მასწავლებლების და პლედლებისთვის ქრისტიანობის გამაგრ-
 ცელებელ საზოგადოებას ააშენებინა ხსენებულმა მამინაიშვილმა მკვიდრი, ფართო და მარჯვე ქვიტიკის სახლები. ბ. მამინაშვილის ასეთმა მარჯვე მოქმედებამ გამოაფხიზლა ქუთაისის გუბერნიის დირექცია: მან ითაკილა, მამინაიშვილს როგორ ჩამოვრჩეო და თავის შერიოც მეტად შე-
 ლავათიანი პირობებით გახსნა იმავე გადაღ-
 მა სვანეთში ექვსი სასწავლებელი, ასე რომ დღეს, ევტიხის წყალობით, სვანეთში ყველგან არსებობენ შკოლები და, შეძლების დაგვარად, ნათელი შეაქეთ მათ ამ ბუნების გერების უგემურ ცხოვრებაში.

ასეთი იყო განსვენებული ევტიხი მამინაიშვილი და მით უფრო გულ საკლავია ის გარემოება, რომ ამ სანთლით საძიებელი მამულიშვილის უდროვოთ დაკარგვა არაფრით არ აღნიშნა ქართულმა პრესამ. მაგრამ რას ნიშნავს, ძვირფასო მკითხველო, გაზეთის ფურცლები იმისთვის, ვისაც სიკეთის თესვით დაუსადგურებია ხალხის გულში! ევტიხის სახელი სვანეთში სამი თაობის ხსოვნაში მინც დაუვიწყარი იქნება და ეს ხომ რჩეულთა იშვიათი ხვედრია!

ქანეთის ეკლესია, გარდა შესანიშნი მღვდლბარობისა, არაფრით არ არის საყურადღებო. იგი ხისაა მოუწყობელი და ღარიბი. ეკლესიის ეზოში დგას უზარმაზარი ქადრის ხე. მცენარე-გაღიათს ირგვლივ თავის ფესვებზედ ამოუყრია თორმეტი ბარტყი, რომლებიც მოსიყვარულე ვაჟი შვილებივით გარს შემორტყმინ ძვირფას დედას. დედა ახის-თვის მებს დაურტყავს და თავი მოუტყებია, ამას შვილები თითქოს თაკილობენ და ფართო ტოტების გამგერით ერთი მეორეს ეჯიბრებიან—არა მე დაფთაო დედს ნაკლი, და არა მეო.

ეკლესიის ეზოდამ მოსჩანს მოზრდილი და მშვენიერი ხელობის, ვინ იცის რა დროის და ფაშის, ციხე დღეს ამ ციხეს დაპატრონებიან თაყაიშვილები.

№



მეტი ხალხი.

ამ ეამად ქუთაისში დადიან და ლოგ-
 ყროეს, შესჩვიან სამრევლო სკოლების დათხოვნილი თუ დასათხოვნი მასწავლებლები,—ეს მეტი ხალხი, რომლებსაც ეუბნებიან, თქვენი დრო წავიდა, თქვენ საქირონი აღარ ხართ, ჩვენ ეხლა უფლება მოსილი მასწავლებლები უნდა ვიყოლიოთ და თუ გნებავთ ჩვენ შკოლებში დარჩენა, უთუოდ უფლება უნდა შეიძინოთო; ჩვენ ეხლა ის აღარ ვართ, რაც ვიყავით:— მნ თუმანს ჯამაგირს ვიძლევი და თქვენზე უკეთესებს ვიშოვნითო. სიმდიდრე რომ კაცს გაამპარტყანებს, ეს ძველი ქეშმარიტებაა, მაგრამ არც ამ ზომამდე უნდა დაუკარგოს მართლმსაჯულება. ზოგიერთ მასწავლებელს 5—10 წელიწადი უმსახურნია, ქების და დიდების მეტი არაფერი დაუმსახურებია, თავის სიყმაწვილე შკოლისათვის შეუწირავს, რამდენი სიცივე, შიმშილი და სულიერი სიო-
 ბლე გამოუცდია, სკოლა ფეხზე დაუყენებია და ეხლა ეუბნებიან—მიბრძანდი, აღარ ხარ საქიროო. საწყენია, რომ მეტი არა ვთქვს, ასეთი მოპყრობა. მე, როგორც ოდესღაც ძლიერ დაახლოებული სამრევლო სკოლებთან და მცოდნე მისი ახლო წარსულისა, სინიდის ქვეშ ვამოწმებ, რომ არა მცირე ნაწილი ქუთაისის და შორაპნის მაზრის სამრევლო შკოლებისა პირდაპირ შექმნილია მასწავლებელთა მუყაიუობით და ზოგიერთ შემთხვევაში თვით მათი. ჯიბითაც. ჩემ დროს ხშირი მოვლენა იყო, რომ მასწავლებელი ჯერ სკოლას აარსებდა სოფელში თავის საფასით და მერმე მასწავლებლობას თხოულობდა საბჭოს წინაშე. ასეთი მასწავლებლები ხშირათ ორი სამი წელიწადი უფასოთ მსახურებდნ და მხოლოდ შემდეგ ელირსებოდნ ხოლმე „პოსობის“, რომლის რაოდენობა არ აღემატებოდა ხუთ ექვს შაურს დღიურათ. და აი ასეთ მოღვაწეს ეუბნებიან დღეს: მოგვილდი, აღარ გვინდობარო. საწყენია და სათაკალოც ასეთი უდიერი მოპყრობა მათთვის, ვისაც ასეთი ღვაწლი დაუღვია სამრევლო სკოლის საქმისათვის.

მაგრამ „კარგისათვის კარგი არავის უქნია“ და განსაკუთრებით სასულიერო უწყებაში; ეს ისეთი მოჯადოებული უწყებაა, რომ აქ კაცი ვერ დაიმსახურებს ვერაფერს, გარდა საყვედურისა, ლანძღვისა, მუქარისა, დასჯისა და დაპყრობისა. ყველა უწყება აღამიანურად ებ-

ყრობა თავის მოსამსახურეს და სასულიერო უწყება კი მუშა ცხოველად არ აფასებს თავისას. აბა მიბრძანეთ, რომელი უწყების მოსამსახურენი არიან ისეთი დასჯილნი ზნეობრივად და ქონებრივად, როგორც სასულიერო უწყებისა. სად არ აფასებენ ადამიანის შრომას და თავდადებულობას? ამიტომ არ გვიკვირს ღღევანდელი მდგომარეობა მოყიადე გზადაკარგულ მასწავლებლებისა. მათც სწვდა საზოგადო სენი ჩვენი სასულიერო უწყებისა და ამისი მიზეზია ახალი ჯამაგირი—საკოდავი შნ თუმანი, რომელიც რაღაც დიდ და უღირს ჯამაგირად მიჩნევიან იმ საკოდავთათვის, რომლებიც ღღემლის ხარივით მუშაობდნენ და თავის მუშაობით საკლთარ კუქსაც ვერ იკმაყოფილებდნენ.

გარდა უმადურობისა ასეთ საქციელში ცოტა უფიცობაც და ულოლიკობაც ურევია. საქმე იმაშია, რომ ღღევანდელი, ეგრეთ წოდებული შემოკლებული გამოცდა არაფერს არსებითს არ მატებს მასწავლებლების გონებრივ, ზნეობრივ, და პედაგოგიურ განვითარებას. იმათ სკდნიან ისეთ საგნებში, რომლებიც ათასჯერ გადულეკიანთ, რომლებშიდაც ეკზამენები მიუციათ სასწავლებლის დამთავრების დროს და რომლებშიდაც შესაფერი ნიშნებიც უზისთ კურსის დამთავრების მოწმობაში. მაშ რაღა მაქნისია ეს განმეორებითი და განმესამებითი ეკზამენები, რას მატებენ, რას სძენენ იგინი მასწავლებლის ცოდნას? არაფერს წვალებისა და წამების მეტს, არაფერს ხარჯისა და ცდენის მეტს. საქმეს უფლება კი არ აკეთებს, არამედ მოქმედი პირი. რამდენი უფლებით შემოსილი მასწავლებლებია, სხვებზე რომ არა ვთქვათ რა, რომლებიც ღირსიკ არ არიან ამ წოდებისა, და წინააღმდეგ რამდენია, რომლებსაც უფლება არ აქვთ, მაგრამ სწავლის საქმე საგანგებოდ აქვს დაყენებული. და ნუ თუ ეს უკანასკნელნი უნდა შეიქნენ უუფლებობის მსხვერპლნი? განა ახალი, გამოუცდელი უფლებიანი მასწავლებელი სჯობია უუფლებოს, მაგრამ გამოცდილს, დახელოვნებულს შკოლის საქმეში? არასოდეს. მაშ რათ უნდა შეეწიროს ყრმათა აღზრდის დიადი საქმე რაღაც უმნიშვნელო უფლებას, რომელიც მხოლოდ ერთ ზედმეტ ფურცელ ქაღალდს შემატებს სამოსწავლო საბჭოს საქმეებს და სხვას არაფერს? ჩვენ არაფერი გვეთქმის, თუ რომ ახალ მასწავლებელთა შორის უფლებიანს ირჩევენ. ეს კანონიერია, თუმცა აქაც ხშირად შეცდო

აუცილებელია. ხოლო როცა გამოცდილ და გამოუცდელ მასწავლებლების სარგებლობას ზომავენ რაღაც უფლებით ეს მომაკვდინებელ ცოდვათ მიგვანია მით უფრო, თუ ახლოვლი მართებლობა დარწმუნებულია თავის უუფლობო მასწავლებლის სიკეთეში. აქ ხმას უნდა იმაღლებდნენ უფრო ისინი, ვინც ახლოს უდგანან სკოლებს და იციან მასწავლებლების ავ-კარგი — ე. ი. მეთვალყურეები. ესენი უნდა იცადდნენ თავიანთ მასწავლებლებს, რომლებსაც რაიმე სამსახური მიუძღვისთ სახალხო განათლების საქმეში, ესენი უნდა შეამდგომოდნენ მათთვის და უჩვენებდნენ მთავრობას, თუ რამდენათ საზარალო იქნება სკოლებისათვის მათი დათხოვნა და ახლების განწესება. თუ ეს არა, ყოველ შემთხვევაში თავის პასუხის გების ქვეშ მაინც უნდა აძლევდნენ მათ ვადას, რომ მოემზ დონ განწესებული უფლებისათვის. ამას მოითხოვს სამართლიანობა და თვით შკოლების სარგებლობა.

კინკილეთელი.



ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ტაძრის წინააღმდეგ გამოილაშქრა!

ქუთაისის საკრებულო ტაძრის კარმიდამო დღეს მაწანწალა ძაღლების ფეხის აღგისს და საბინადროს წარმოადგენს. ამ ხოლერობის წინ აქ შეხედებოდიოთ ყოველ ნაირ საქონლის ძვლებს, რომლებიც იმავე ძაღლებს მოჰქონდათ საყასპობებიდან და აქ შეეკეცოდნენ. ხშირად ეს დაუპატიებელი სტუმრები ეკლესიაში შედიან ხოლმე და უნდა უყურო, რა კორინტიელი აღგება ამ დროს იქ.

ერთხელ, სხვათა შორის, რაღაც დიდ დღესასწაულზე ძაღლი საკურთხეველშიაც შევარდნილიყო, მაშინ როდესაც ყველა კარებზე ორ-ორი „გორადოვოი“ იღვა მცველად. ამ შემთხვევის გამო ვილაცამ მწარეთ წაიოხუნჯა: „ეგ დალოცვილები ადამიანს არ უშვებენ და ძაღლი როგორ შეუშვესო“. ასეთი მაგალითები ბევრია. ამაზე უარესიც ხდება ხოლმე ტაძრის გარშემო, რაც ჩვენ სიმხეცეს და სარწმუნოებრივ სიჩლუნგეს მოწმობს, მაგრამ ამაზე ვსდუმთ. ასეთი მიბინძურება საკათედრო ტაძრისა შუა ქალაქში, ბულვარის გამოსავალში, ქალაქის მართველობის თვალწინ, ჩვენ სი-

კეთეს, რა თქმა უნდა, არ მოწმობს. საჭირო იყო ქალაქს ყურადღება მიექცია და შესაფერი გალაფანი შემოერტყა ტაძრისათვის, რომ ცოტათი მაინც დაეფარა იგი ასეთი სიბინძურისაგან. მაგრამ მან ეს არ ინება. არც თუ ადგილობრივ სასულიერო მთავრობას შეუწყუხებია თავი დღემდის. დღეს კი მისდა საქებრათ და საპატიოთ, უნდა აღვიაროთ, რომ მან ეს ნაკლი შეიწოდა მის გასწორებას შეუდგა, ე. ი. განიძრახა რისი ვი-ვაგლახით ჩამონათხოვარ ფულით (ქალაქს თვით მართველობას ერთი კაპეიკიც არ გაუღია, რადგან უთუოდ სახელმწიფოსა და ეკლესიის განშორების პრინციპი იცავს!) ტაძრის ეზოს შამოღობა. მაგრამ, დახეთ უბედურებას! ქალაქის თვითმართველობის კომისიამ ისეთი პირობები დაუდვა, რომ შეღობვის განზრახვის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი გახდა. მან მოითხოვა, რომ ტაძრის ეზო ერთ არშინზე შეტი გარეთ დარჩეს ქუჩის გასაფართოებლად. სრულიად საჭიროება არ მოითხოვს ტაძრის შეკავებასო,“ დასძინა თურმე კომისიამ.

თქმა არ უნდა, ვინც ტაძრის სისუფთავეს არაფრად აგდებს, ვისაც ტაძარი დღღლეების მოგონილ დაწესებულებად მიაჩნია და მასში მლოცველი ხალხი უვიც ბრბოდ, მისთვის მისი შეკავება საჭირო არ არის, მას ქუჩა ურჩევნია.

თუნდა ასეც იყოს, არ ვეცილებით, მაგრამ ისედაც მცირე ეზოს შემცირება, ე. ი. საკუთრების წართმევა რა ქუჩაში მოსავალია? ნეტავი საჭიროება მაინც მოითხოვდეს ასეთ უსამართლობის გაწვევას. ქუჩები ტაძრის გარშემო ყველგან საკმაოდ ფართოა, ასე რომ მათზე უფართესი ქუჩები სულაც არ მოიძებნება ქუთაისში. მაგრამ აქ განძრახვა სხვა უნდა იყოს: სასულიერობა არ დათანხმდება ტაძრის ეზოს შემცირებაზე და ტაძარი კვლავინდელ მღვდლმარეობაში დარჩება აი, ნამდვილი განძრახვა უპრავის კომისიისა. ბატონებო! თქვენ, შეიძლება, სრულებით არაფრად მიგაჩნდესთ ტაძარი და სიამოვნებით საზოგადო სახლებად გადააკეთებდით ყველა ტაძრებს, მაგრამ მოიხედეთ უკანაც, სადაც ათი ათასობით დგანან თქვენისთანავე ადამიანები, რომლებსაც ტაძარი სიცოცხლეს ურჩევნიათ და თვალის ჩინვით უფთხილდებიან. თქვენ უფლება არა გაქვთ მათ სიწმიდეს შეეხოთ, თუ არ გინდათ, რომ ისინიც თქვენ სიწმიდეს შეეხოთ და ზურგი შეგაქციონ...

მ-ძე.



ნატო გაბუნია—ცაგარლის პატივსაცემელი პანაშვილი.

ქ. ქუთაისში.

კვირას 22 მარტისთვის ქუთაისის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნა პანაშვიდი ნატო გაბუნია—ცაგარლის სულის მოახსენებლად და პატივსაცემლად. თუმცა პანაშვიდი გამოცხადებული იყო ორი-სამი დღით წინ ცალკე განცხადებებით, მაგრამ მას არაფერი დასწრებია, არც თეატრის და არც ქალაქის წარმომადგენელი, და არც ვერცერთ წოდებული მაღალი(?) საზოგადოება. იყენენ ვინ? ისინი, ვინც მუდამ კვირა უქმი დღეს დაიარებიან ეკლესიაში წირვა ლოცვაზე. იყო ღვთისაგან კურთხეული, ვერცთ წოდებული, წვრილი ხალხი, რომელსაც კიდევ დარჩენია ცოტაოდენი რწმენა ღვთისა და ეკლესიისადმი. მაგრამ ესენი ხომ უმისოდაც იქნებოდნენ ეკლესიაში? ესენი ხომ ვერ იცნობდნენ გაბუნია—ცაგარლისას და არც განძრახვა ჰქონიათ მისი პატივისცემისა? და თუ ეკლესიაში დარჩენ, უთუოდ ჩვეულებრივებ, ვილაც მიცვალებულის სულის მოახსენებლად.

სად იყვნენ ის პატივსანი პირნი, რომლებიც სტკებოდნენ გაბუნია—ცაგარლის მოხდენილ თამაშობით, რომლებიც თავს იქცევდნენ და დროს ატარებდნენ, იმ ძვირფას დროს, რომლის მოსახპარად მეტ საქმეს ვერ ჰპოვებდნენ, იმ დროს, რომელიც მათ ეზარებოდათ შეეწირათ ჩაგრულ მოძმეთათვის განსავითარებლად. სად იყვნენ ეს ეცემატონები? რა თქმა უნდა ქუთაისში, მაგრამ... მაგრამ ეკლესიაში კი არ მოსულან; არც შინ იჯდნენ, სიტყე იყო, სობოროს წინ ბულვარში დასერიზობდნენ, მშვენიერ სქესთა შორის მასლაათობდნენ. სამგლოვიარო ზარის ხმას არ გაუღვიძებია მათ მეხსიერებაში განსვენებულ ნატოს ღვაწლი და კიდევ რომ გახსენებოდათ, განა ეკლესიაში შესვლას იკდრებდნენ? ან კი, რომ შესულიყვენ, რა გაუკეთებდნენ მიცვალებულს? ვითომ გულმხურვალე ლოცვას აღაღლენდნენ სულთა და ხორცთა მპყრობელის მიმართ მიცვლებულის სულის საოხად თუ? ცოტა ხანს დადგებოდნენ, მიიხედ-მოიხედავდნენ და პირჯვარ გადუწერელი ბულვარს დაუბრუნდებოდნენ. მაგრამ, ესეც ესთქვათ, სული რომ არ არის (?!), რა უნდა მოეხსენებიათ, გომართელის „ტვისს“ ხომ ვერ შეიფედრებდნენ

ღმერთს? ან ღმერთი... მაგრამ კმარა. ბატონებს ეწყინება, თუმცა საწყენი არა გვითქვამს რა მართლის მეტი...

ღმერთმანი არა მწამს ასეთი პირსაფერო პანაშვიდი. თუ პანაშვიდი მხოლოდ „პატივსაცემლათ“ მიაჩნიათ, როგორც განძრახ დავსწერეთ სათაურში, მაშინ სჯობია ეკლესიას გარეშე, სადაც საზოგადო სახლი აირჩიონ: თეატრი, სპრავა, კლუბი, სობრანიე“ და სხ. და სხ. იქ მოიყარონ თავი პატივისმცემლებმა, ერთმანეთს მიუსამძიპონ, სამძიპრის დეპეშაც გაგზავნონ, სადაც ჯერ არს, ვილაცამ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვას და „маршъ домой“, როგორც იტყვიან რუსები; თუ გინდა на дульваръ! ეს უფრო პატიოსანი, პირუთენელი საქციელი გამოვა, რომლისთვის ვერაფერ ძრახს ვერ იტყვის. აბა რას ჰგავს? აცხადებენ, საზოგადო მოღვაწე გადაგვეცვალა, მოდით ღმერთს მაინც შევავედროთ მისი სული, მეტს ვეღარაფერს მოვეხმარებითო და თითონ კი ან სახლში ზიან და ან ბულვარში დასეირნობენ! არა, ბატონებო, ასეთი საქციელით აქვენ ვერაფერს მოაღწევთ და ვერაფერს დაამტკიცებთ, გარდა თქვენთვის პირმოთნობა-უარისფელობისა და ღმერთს კი ვაარისხებთ, იმ ღმერთს, რომელიც მიუხედავად ყოველი უარის ყოფისა, ცხოველ არს და ხედავს ყოველსა და მაშასადამე თქვენ უსაქციელობასაც.

დიდათ ვერ გაამხნევებს ჩვენი საზოგადოების ასეთი ყურადღება(?) დანარჩენ არტისტებს, რომლებსაც თავის სიკოცხლე ამ საზოგადოების სიამოვნებისათვის შეუწყირავსთ. სამწუხაროა და მასთან საწყენიც....

ხელი.



კვირიღამ კვირობაღამი.

როგორც ვიცით, სამრევლო სკოლების მასწავლებლებს ასალი ჯამაგირები უნუნისთვის პირველ რიცხვებშიდან უნდა აქვთ. ესაა, როგორც ვაგიკეთ, საკუთარდით სამქითს განუბრახსავეს გასული უკუნისთვის ჯამაგირი მკული ჯამაგირის კვალობაზე დაარბოს. უბნობიაც ვაი სადუნელია!

განსჯუნებულ დუკანობ შვანგირაბის ადგილზე გადაყვანილ იქმნა იმავე საკრებულთ—

ცაძრის მეთოსე მღვდელთ ი, კერესულიძე, ასე რომ ესლა დაცლილია მეთოსე მღვდლის ალაკი. მთხოვნულუბის რიცხვი თანდითან მაცულულობს. ხმა ისმის ადგილი მას მიეცემა, ვინც მკვი ნამსახურიათ.

გულათის მღვდელმთნაბუნების ილარიონის და დედოს შესახებ სამხედრო პრეტორი იმერეთის უბისკოპოსს შეუკითხა, რომელმაც უკვე გაუგზავნა პრეტორის თავის აბრი.

ამ დღეებში ყ-დ სამღვდელთ იმერეთის უბისკოპოსსა გიორგიმ ცნობილ გრათინია უკართვას თრი ძველი სასარება გაუგზავნა თბილისში. ეს სასარებაში თრივე ცვაჯება დაწერილი ერთი ნუსხა სრულდით და მეთრ ასომთავრულით, ამასთან პირველი ნასაწყობიანა. ამბობენ ამ სასარების შესასწავლად უკართვა და სასანაშვილი თბილისში ჩამოვლენთ. იმედი უნდა ვიდინოთ, რომ წიგნები უკანვე დაუბრუნდება მაცტრინს, რომელსაც წარმოადგენს ჯრუჭის მონასტერი.

რედაქციამ მიიღო შ. ნაცრთშვილის ასალი წიგნი „Иверскій монастырь на Аѳонѣ въ Турци.“ წიგნი სრულდაცა გამოცემული და წარმოადგენს ისტორიულ სპრავას შესაბამ ათონის ქართულთა მონასტრისა, რომელიც დღეს შერბნების სკოლშია და რომელი თქვსაც ქართულუბს უკუთვნიდა. დიდი მადლობის ღირსია შ. ნაცრთშვილი, რომელმაც, ასე ვსთქვათ, გავაცნო ეს დიდ მნიშვნელოვანი განბი და სიამაყე ჩვენი ქრისტიანულ—კულტურულ განვითარებისა და აღვიდვინა ნათელი სასე ათონის ქართულ მოღვაწეთა.

როგორც სარწმუნოთ ვაგიკეთ, ყ-დ სამღვდელთ იმერეთის უბისკოპოსს გიორგის ვრეკული მოსყენება წარუდგენია ექსარსტოსისთვის შესახებ მიჭვირვის ღვთისმშობლის სადათ საცისა, რომელშიდაც მისი მკუთყა ამცვიცებს, რომ სსენებულ საცებე არავითარი თელუმა არა აქვს ავსაბეთის მიჭვირვის ცაძარს, რადგან თვით ქათალიუთსისაგან არის გადგმოცანილი და დასყენებული გულათის იმ დროს, როცა მიჭვირვამ დაგარგა თავის მნიშვნელობა, როგორც სავათალიუთსთ ცაძრისა და ამ თელუბით შეიშოსა გულათის ღვთისმშობლის ცაძარო.



ზილოზგრაფია

დაიბეჭდა არქიმ. ნესტორის — ახალი აღ-
თქმის ისტორია. პატივცემულმა ავტორმა,
ჩვენში სახელმძღვანელოების შედგენით ცნო-
ბილმა, ამ წიგნის დაბეჭდვით შეავსო საგრძ-
ნობელი ნაკლი ჩვენს ლატაკ საღვთისმეტყველო
ლიტერატურაში. წიგნი კარგად არის შედგე-
ნილი და გამოსადეგია, როგორც მოსწავლე-
თათვის, ისე ოჯახში საკითხავადაც.

შეცდომათა შორის აღსანიშნავია 1, სიმ-
რავლე კორექტურულ შეცდომათა, რომლებ-
საც სულ არ უნდა ჰქონდეთ ადგილი სახელ-
მძღვანელოში. როგორც საღვთო ისტორიის,
სხვა სახელმძღვანელოებში ისე ამაშიც ხში-
რად გვხვდება სიტყვები: „იუდიელი“, „იუდეა“,
„იუდიელთა კვეყანა ეს სიტყვები, ჩვენი
აზრით, ქართულს სახელმძღვანელოებში შე-
მოვიდნენ რუსული სახელმძღვანელოების
გავლენით. ალბათ ქართველი შემდგენელი
სახელმძღვანელოებისა სულ არაფერ ყურად
ღებას აქცევენ იმას, თუ როგორ იხმარება ქარ-
თულ სახარებაში პალესტინის ქვეყნების,
ხალხების და კაცების სახელები. საყდარში გვეს-
მის — ჰრქვა უფალმან მოსრულთა მათ მისსა
მიმართ ურიათა; ჰკითხვიდეს მას ურიანი;
მოვიდა იესო ურიასტანს, სახელმძღვანელოში
კი უნდა ვისწავლოთ — იესომ უთხრა იუდიე-
ლებს, იესო მოვიდა იუდიელთა ქვეყანაში.
ცხადია, რომ სჯობს იმ სიტყვებით აღნიშვნა
ხალხის და კაცთა სახელებისა სახელმძღვანე-
ლოებში, რა სიტყვებითაც აღნიშნულ არიან
ეს სახელები ქართულ სახარებაში. „შესაქ-
რებლის“ მაგიერ ავტორი ხმარობს სიტყვას
„თორა“. რასაკვირველია, სიტყვა „თორა“
უფრო მისაზრებელია და გასაგებია ქართველის-
თვის, ვიდრე „სინაგოგა“ რომელიც იხმარება
სხვა სახელმძღვანელოებში, მაგრამ ჩვენი აზ-
რით სახარებაში ნახშირი „შესაქრებელი“
აჯობებდა.

ამ მკირე ნაკლთა ჩვენებით არ გვსურს
დაქრდილოთ უეჭველი ღირსებანი; რომლე-
ბიც ამ წინს აქვს და რომლის გავრცელებაც
ჩვენთვის ფრიად საწადელია.

სასულიერო.



შემოწირობა.

მღვდლის მ. ლავრენტი როფაქიძისაგან
რედაქციამ მიიღო იმერეთის სარწმუნოებრივ-
განმანათლებელ ძმობის სასარგებლოთ 6 მა-
ნეთი და 30 კ. ამათგან 3 მ. და 30 კ. მის-
დაში რწმუნებულ ეწრის სამრევლოში შეკრე-
ბილი, ხოლო 3 მ. საწვერო გადასახადი. ამავე
მიზნით საწვერო გადასახადი გამოგვიგზავნეს:
მღვდ. ალექსი კურცხალიამ 3 მ. და მღვდ.
სიმონ ხვადაგიანმა 3 მ.



რედაქცია, მღვდელი სიმონ მჭედლიძე
გამომცემელი იოსებ ლევადა.

განცხადებანი ვამუშალებ

სამღვდელო და საღვთაგნო

საბნეუში,

აგრეთვე

ს ა მ ა ს წ ა კ ლ ე ბ ლ ო

ეგზამენის ასაღებად.

აღრესი: ქუთაისი, ვაბაკოვის ქუჩა, № 17.

ზინაური საქმეების რედაქციაში იყიდება
შემდეგი

წიგნაკები

1. ქრისტიანობა ბებელის ლაზორატორ. 10 კ.
2. ქრისტი ლმერთია? 10 კ.
3. სვედლილი მართლისა 5 კ.
4. წყარო ურწმუნოებისა 2 კ.
5. პატარა ქრისტიანი 2 კ.
6. ათეიზმი და მისი გავლენა ცხოვრებასა და მეცნიერებაზე 10 კ.